სტერეოტიპის შინაარსის მოდელი და ასაკობრივი ჯგუფები

ნათია ხვადაგიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

სტერეოტიპის შინაარსის მოდელის თეორია (SCM) ეკუთვნის ამერიკელ მკვლევარ სიუზან ფისკეს და ის სტერეოტიპის პრინციპებსა და სოციალურ სტრუქტურას აკავშირებს ერთმანეთთან. ამ თეორიის მიხედვით, სტერეოტიპი ცალსახად უარყოფითი შინაარსის მატარებელი არ არის. ფისკემ და კოლეგებმა სტერეოტიპის შინაარსის მოდელი იკვლიეს სხვადასხვა ქვეყნებში და ამჯერად მას კავკასიის მასშტაბით იკვლევენ. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სწორედ ამ დიდი კვლევის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც განხილულია SCM-ის ორი მთავარი განზომილება - სითბო და კომპეტენტურობა და ამ განზომილებების ჭრილში მეორე ცვლადად არჩეულია ასაკი. კვლევა მიმდინარეობდა ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე შეირჩა ის ჯგუფები, რომელთა მიმართ დამოკიდებულებებიც უნდა შეფასებულიყო მეორე ეტაპზე ქართული საზოგადოების მიერ. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ეს უკანასკნელი ნაწილია წარმოდგენილი, სამ ასაკობრივ კატეგორიად დაყოფილმა რესპონდენტებმა შეაფასეს რვა გარეჯგუფი სხვადასხვა განზომილებაში, შედეგებში გამოკვეთა საინტერესო სტატისტიკური განსხვავებები და მსგავსებები ასაკობრივ კატეგორიებს შორის, რამაც მრავალფეროვანი ანალიზის შესაძლებლობა მომცა.

საძიებო სიტყვები: სტერეოტიპის შინაარსის მოდელი, ასაკი, სტერეოტიპები